

# მხარდაჭერის მიმღები პირის ინსტიტუტი

## ლალი ეუაშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო  
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა თოდუა, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლალი ეუაშვილი / ლალი ეუაშვილი

03.07.2017

## აბსტრაქტი

2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ფსიქიკური დაავადებების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ არსებული საკანონმდებლო რეგულაციები. კანონპროექტის მიღების მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქოსამართლებრივ ნორმათა შესაბამისობაში მოყვანა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის“ სტანდარტებთან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მიმოვიხილოთ მხარდაჭერის მიმღების ცნება და მიმართება ცვლილებამდელ კოდექსთან, მხარდაჭერის მიმღების გარიგებაუნარიანობა, მხარდაჭერის მიმღები, როგორც საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტი, მხარდაჭერის მიმღების დელიქტუნარიანობა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება.

გამოვკვეთთ „მხარდაჭერის მიმღები პირის“ ინსტიტუტის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, ვიმსჯელოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებსა და პრაქტიკულ პრობლემებზე. ნაშრომში ასევე იქნება წარმოდგენილი თუ რა პროცედურებია დადგენილი ქართული კანონმდებლობით მხარდაჭერის მიმღები პირისთვის ადვოკატის დანიშვნისას, რამდენად ხშირია იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროდან წარმომადგენლის დანიშვნისას ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, როგორია პრაქტიკოსი იურისტების შეფასება მხარდაჭერის მიმღების პირის ინსტიტუტთან დაკავშირებით, რა სირთულებების წინაშე დგანან აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე. რა სახის საკანონმდებლო ცვლილებების შეტანაა სასურველი მხარდაჭერის მიმღები პირის ინსტიტუტის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში.

## Abstract

The article contains brief analyses of 2014, October 8 decision of Constitutional Court of Georgia, which declared unconstitutional regulations of Georgian legislation regarding mentally disabled persons. Subsequent amendments were intended to modify relevant private law articles to be in conformity with the convention on the Rights of Persons with Disabilities. The purpose of the article is to consider the notion of the support institute and its relation to pre-existing civil code of Georgia. Also, it will consider disabled person's ability to enter into transaction as a subject to the agreement of marriage.

Apart from this, it will demonstrate the advantages and disadvantages of support institute, practical and problematic issues of existing regulatory framework.

The article also will consider the procedures which are regulated under Georgian amendments in relation with the assigning of lawyers for the disabled person. Moreover, it will define to what extent the conflict of the interests take place while assigning a representative from Legal Aid Bureau according to the Code of Ethics of Georgian Bar Association. Also, how practicing lawyers assess the support institute and what kind of obstacles they are facing. Finally, it will refer to the amendments which have to be made for the regulatory framework of the support system of disabled persons.